

ლადო პაპავა: სავალუტო ფარი ქართული რეალობისთვის შეუფერებელია

გაზეთი “ეკონომიკური პალიტრა”, 22-28 ოქტომბერი, № 001, 2007

ინგლისურენოვანი ტერმინი “Currency Board” უფრო სწორეა ქართულად როგორც “სავალუტო ფარი” და არა როგორც ბოლო დროს ხშირად გამოიყენება “სავალუტო საბჭოდ” ვთარგმნოთ. დღესდღეობით ეროვნულ ბანკს უკვე აქვს ეროვნული ბანკის საბჭო, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს უკანასკნელი ცოტა გაცვეთილი სიტყვაა. უნდა აღინიშნოს, რომ “Currency Board”-ს სავალუტო რეგულირებასაც უწოდებენ, თუმცა, რეალურად ეს სავალუტო ფარია.

სავალუტო ფარის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსით გაცვლა რომელიმე კონვერტირებად ვალუტაზე, ევროზე ან აშშ დოლარზე. სხვაგვარად რომ ავხსნათ, სავალუტო ფარის შექმნის შემთხვევაში სახელმწიფო ადგენს რაღაც ფიქსირებულ კურსს, ამ შემთხვევაში უცხოურ ვალუტას, რომელსაც მივებმებით და იგი შეასრულებს ფარის როლს. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი, როგორც ინსტიტუტი, რომელიც შეიმუშავებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, აღარ იარსებებს.

ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც სავალუტო ფარის მექანიზმი გამოიყენება, შესაბამის ინსტიტუტს შენიღბვის მიზნით უნარჩუნებენ სახელს ცენტრალური ანდა ეროვნული ბანკი, მაგრამ იგი აბსოლუტურად უფუნქციოდაა დარჩენილი.

საერთოდ, მიზმას სჭირდება არსებობდეს დიდი ოდენობის უცხოური ვალუტის რეზერვი. საქართველოსთვის უფრო რეალურია დოლარს მიგვაბან, რადგანაც ის საქართველოში გაცილებით მეტია, ვიდრე ევრო. თუ უცებ შემოდინება შემცირდა, ორგანოს, რომელიც სავალუტო ფარის მექანიზმით მუშაობს, უნდა შეეძლოს შეინარჩუნოს გაცვლითი კურსის სტაბილურობა.

სავალუტო ფარი რომ შეიქმნას, ქვეყანა ორ მოთხოვნას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. I – უნდა არსებობდეს დიდი რაოდენობით რეზერვი, რომელიც მიმოქცევაში არსებულ ფულის მასას უნდა აღემატებოდეს. II – არ უნდა არსებობდეს ქვეყანაში ცალკე ორგანო, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს ინფლაციაზე და ინფლაციის თემა უნდა გადავიდეს მთავრობის რეგულირების სფეროში.

ქართულ სინამდვილეს თუ ავიღებთ, ჩვენი კანონმდებლობით მთავრობას მეორე წელია აკრძალული აქვს ეროვნული ბანკისაგან ფულის სესხება. ამასთან, აუცილებელია დეფიციტური სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადავიდეთ პროფიციტურზე. რაც ნიშნავს იმას, რომ შემოსავლები უნდა აღემატებოდეს ხარჯებს, უნდა შეიქმნას სპეციალური სტაბილიზაციის ფონდი.

ქვეყანაში დიდი ოდენობით შემოსული უცხოური ვალუტის შემთხვევაში სავალუტო ფარის მექანიზმი მოითხოვს შეუზღუდავ გადაცვლას, რის შედეგადაც მიმოქცევაში გადის დამატებითი ლარი და ეს ხელს უწყობს ინფლაციას. ამიტომ ინფლაცია რომ არ იყოს მაღალი, უნდა გვქონდეს პროფიციტური ბიუჯეტი. ეს არის ამ მექანიზმის არსი.

სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება ძირითადად ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას, რაც საქართველოში 1993-94 წწ იყო. ამ პრობლემაზე საქართველოს მთავრობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად ფარის შემოღების მექანიზმზეც მუშაობდა, მაგრამ ეს იდეა მაშინ უკუგდებულ იქნა, რადგან საქართველის ცენტრალურ ბანკს რეზერვები არ გააჩნდა.

საზღვარგარეთ სავალუტო ფარის გამოყენების მხრივ კარგი მაგალითებია ბრაზილია, ესტონეთი და ლიტვა. სავალუტო ფარის მექანიზმის გამოყენება კრახით დამთავრდა ინდონეზიასა და არგენტინაში. სავალუტო ფარის იდეოლოგი ვინმე სტივ ჰენქია, რომელიც განათლებით სანტეჟნიკოსია და მსგავსად ჩვენს მთავრობაში მყოფი მრავალი ადამიანისა, არანაირი კავშირი არ აქვს ეკონომიკასთან. მას მსოფლიოში ცნობილმა პროფესორმა პოლ კრუგმანმა საერთაშორისო დონის შარლატანი და ინდონეზიური რუპიის რასპუტინიც კი ეწოდა.

რატომაა საჭირო რეალურად საქართველოსთვის სავალუტო ფარის შექმნა? ეროვნული ბანკი ისედაც აღარ აძლევს სესხებს მთავრობას და ამას ვეღარ გააუქმებენ, საქართველოში არ არის ჰიპერინფლაცია, რომ მისი დარეგულირების საკითხი იდგეს დღის წესრიგში; საქართველოში იზრდება სავალუტო რეზერვები, რაც ერთადერთი არგუმენტია სავალუტო ფარის ჩამოყალიბების სასარგებლოდ.

მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზეც, რომ საქართველო დაავადებულია ჰოლანდიური დაავადებით. ეს უკანასკნელად პირველად გასული საუკუნის 60-იან წლებში დაფიქსირდა და დღესდღეობით ამ დაავადებით შეპყრობილია ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ნორვეგია, ირანი,

აზერბაიჯანი და სხვ. საქართველოში ეს დაავადება ვარდების რევოლუციის შემდეგ გაჩნდა. საერთოდ, ამას ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტის შემოსვლა იწვევს. საქართველოში რევოლუციის შემდეგ კატასტროფულად გაიზარდა ლარის დოლარზე გადახურდავების მოთხოვნა და ჩვენს ქვეყანასაც ჰოლანდიური დაავადება შეეყარა.

საბანკო არხებით 2006 წელს 2005 წელთან შედარებით საქართველოში 5-ჯერ მეტი თანხა გადმოირიცხა. ამას დაემატა პრივატიზაცია, უცხოელების შემოსვლა, რომლებიც საქართველოში ქონებას ლარით ყიდულობენ. ნებისმიერი ინვესტიცია ლარში ხორციელდება.

ჰოლანდიურ დაავადებას ჩვენი ხელისუფლება საზოგადოდ მიღებული მეთოდით ებრძვის, ოღონდ არასრულფასოვნად.

ეროვნულმა ბანკმა დაიწყო უცხოური ვალუტის შექენა. თუ 2003 წელს დოლარის გაცვლითი კურსი იყო 2 ლარი და 15 თეთრი, ახლა 1 ლარი და 65 თეთრია. მაშასადამე ამ სამი-ოთხი წლის მანძილზე მოხდა ლარის 50 თეთრიანი გამყარება. ეროვნულ ბანკს რომ არ შეეძინა შემოსული დოლარები, გამყარება იქნებოდა უფრო სერიოზული. ეს კი მთლიანად დაანგრევდა საქართველოს ეკონომიკას. ამ მომენტისთვის ეროვნული ბანკის პოლიტიკა იყო აბსოლუტურად სწორი.

ეროვნულ ბანკს ლარის გამყარების ტემპების შემცირება შეუძლია, მაგრამ სავალუტო ფარის პირობებში ეს ვეღარ მოხერხდება. თუ ვერ მოხდება ლარის გამყარება, ეს ნიშნავს, რომ ინფლაცია კატასტროფულად გაიზრდება.

დღეს საქართველო არანაირად არ არის მზად და მას არანაირად არ სჭირდება სავალუტო ფარის შემოღება. სახელმწიფო ორ ფეხზე დგას: ერთი ესაა ეროვნული ბანკი, მეორე კი – მთავრობა. ფულად-საკრედიტო სფეროში ეროვნული ბანკი არ უნდა იყოს მარტო.

ევროკავშირში ჩვენი შესვლა-არშესვლა სავალუტო საბჭოსთან არანაირ კავშირში არაა. ევროკავშირში შესვლა ჩვენი ეროვნული ბანკის მექანიზმითაც შესაძლებელია. მაგრამ დღეს საქართველოს ევროკავშირში შესვლაზე უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფო სხვა პრობლემები აქვს მოსაგვარებელი.

სავალუტო ფარი უაზრობა კი არაა, უბრალოდ, ჩვენი დღევანდელი რეალობისთვისაა შეუფერებელი.